კრიტიკის არ უკიარეს მაინც და მაინც ბრწყინვალე ადგილი საფრანგეთში. აგრე ლასერი (Lasseri) და ანრი მასისი (Massis) განაგრძობენ კრიტიკულ ეტიუდების წერას და დრო დრო მოგვაკონებენ ფერდინარდ ბრიონეტის. აღსანიშნავია, რომ ბორის ბარესზე და ანდრე ჯილზე მომავლინებული შეტყევები მიიტანეს არა მემარცხენე კრიტიკოსებმა, არამედ სწორედ უკიდურესმა მემარჯვენე კრიტიკოსმა ანრი მასისმა („Juquenet“ 2 ტომი). ეაკ რივერსი (Bivieux) თავის მსჯავრების დებაში ხელმძღვანელობს ბოლარესსა და რემპოსადმი მიკერძოებითა. რა, თქმა უნდა, მას შეეძლო უფრო ცუდ ხელმძღვანელთა პოვნა, მაგრამ მაქ იგი დიდ პოეტთა კულტს იგი უერთებდა გათუქვით და უეჭველ აღფრთოვანებას კლოდელოთ და ეილით. სტიფენ მალლარზე ოდესღაც ესოდენ დამკირებული კრატკოსების მიერ, დღეს აქვლა ფრანგ ქსესიტების ყურადღებას იპყრობს.

კრიტიკოსმა ტიბაუდელ (Thibaudet), რომლის წერილები რამდენიმედ ცივი და პედანტურია, უძღვნა მას მთელი წიგნი („Stephan Mallarme“).

კრიტიკა არ განახლებულა, მაგრამ უნდა აღვსებულკნას, რომ იგი წინააღმდეგე უფრო ჰყვანი ვახდა. და ესეც ხომ ნიშნავს რამეს.

ესპანიის ახალი მხატვრობა

აშერ (შუმი)

თანამედროვე ესპანიის განთქმული მხატვარი კარიკატურისტი აშერი (შუმი) ამ ვაჟად მხოლოდ 22 წლისა. იგი მუშაობს ოჯახის შვილია, დაზვიადან მოსული ხელოვნებაში. თავისი ნიჭი მან მუშაობა კლასის რევოლუციონერ ბრძოლას შესწირა. ყველა მისი ნაწარმოები კლასიკურ



სატესტოს რევიორმა ესპანეთში. ნახ. ესპანელ მხატვარი შუმის, რომელსაც დირექტორიამ მოსაჯრა სოციალიზმის დაცვა.

სტილულის მძაფრი გარემოებითაა გამსჭვალული. აშერის ძირითადი ტემაა ციხის და ტერორის საშინელება, ერთის

მხრით, — და ბურჟუაზიის შხამიანი დაცინვა — მეორეს. განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი შემოქმედებისთვის ისეთი სურათები, როგორიცაა „ესპანელი გლეხი“, „მუს-სოლინი“, „დღევანდელი სინამდვილე“. აშერის ადარებენ გერმანულ მხატვარ გროსს, რომელთანაც მას მართლაც ბევრი აქვს საერთო.

1921 წლის სისხლიან დღეებში, როდესაც ბარსელონის და მთელი კატალონიის პროლეტარიატი სისხლიდან იკლემბოდა და როდესაც მუშათა მოძრაობის ჩაშრობის გენერალ მარტინეც ამილოს ტერორზე ანარქისტებმა საპასუხო ტერორი გააჩაღეს, აშერი ემიგრანტად იყო პარიზში, მაგრამ სამშობლოში დატრიალებულმა ამბებმა აიტყლეს ის ესპანიაში დაბრუნებულიყო. აქ იგი თავდავიწყებით ჩაება რევოლუციონერ მუშაობაში და შუმის ფსევდონიმით ათავსებდა თავისი კარიკატურებს ანარქისტულ და კომუნისტურ გამოცემებში. ბარსელონის პოლიცია გამუდმებით ეძებდა და ვერ მიეგო შხამიან კარიკატურისტის კვალისათვის. ის კი იტყუებული იყო არა ლეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო.

უბედურმა შემთხვევამ ხელი შეუწყო პოლიციას. ერთ-ნელ, როდესაც აფეთქებამ გაანადგურა უზარმაზარი შენობა, პოლიციელებმა დაზარალებულთა შორის ნახეს ერთი დასისხლიანებული და დამწვარი ახალგაზრდა. მათ სიხარულს საზეღარი არ ჰქონდა, როცა მასში შუმი იცნეს.

ციხეში ცოტა ხნის აქიმობის შემდეგ, იგი რამოდენიმე ანარქისტთან ერთად წარსდგა სამხედრო სასამართლოს წინაშე როგორც ბრალდებული ტერორისტულ აქტების მოწყობაში. სასამართლომ, მიუხედავად ბრალდების დაუსაბუთებლობისა, მოსაჯრა მას უმაღლესი სასჯელი, რითაც აშკარად დაამტკიცა მხოლოდ თავისი კლასისათვის სიძულვილი მხატვრობისადმი, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ბურჟუაზიას. სასამართლოს მეორე ინსტანციამ დაამტკიცა ეს განაჩენი.

გერმანიის ახალი მუსიკა

ბოლო წლებში გერმანიის მუსიკა გამდიდრდა მრავალფეროვან ახალ მუსიკალურ — დრამატულ ლიტერატურით, რომლის მეტი წილი მიღებულია სახელმწიფო ოპერის რეპერტუარში. მოგვყავს რამოდენიმე ნაწარმოების შინაარსი.

დიდი ხმაური გამოიწვია პირველ წარმოდგენის დროს რიხარდ შტრაუსის ოპერამ „Die Frau ohne Schatten“ (ქალი ულანდით), აქ შტრაუსი პირველად დაადგა მისტორი — რომანტიკულ ოპერის გზას. მეტად სუსტი ტექსტი, როგორც ყოველთვის, დაწერილია შტრაუსის ჩვეულ ლიბრეტისტის ჰოფმანსტალის მიერ. მოქმედება ზღაპრულ აღმოსავლეთ კუთხეშია წარმოებულ. მეფის კეიკობატი ცოლად ჰყავს სულთა მეფის ქალი, მაგრამ ახალგაზრდა დიდოფალს არა აქვს ლანდი, რაც ლიბრეტისტის აზიურული თქმით, ნიშნავს უშვილობას. დიდოფალს ჯა-

დო ჭარი ძიძა დააჯერებს ერთი მღვდლის ცოლს, რათა მან მიჰყადოს დიდოფალს თავისი ლანდი, ე. ი. მომავალი შვილიანობა. მღვდლის ცოლიც დიდის მუდარის შემდეგ თანხმდება.

ორივე წვეილი, მეფე დიდოფალით და მღვდელი ცოლით, უცნაურ გადიდან სულთა სამეფოში, სადაც დიდის თავგადასავლის შემდეგ სუამენ, სიცოცხლის წყაროდან, რის გამოც მღვდლის ცოლი უკან მიიღებს თავის ლანდს. ოპერა სრულდება კვარტეტით, სადაც ორივე წვეილი უმღერის თავის იმედებს უბე მემკვიდრეობისა.

ასეთიან მოკლედ შტრაუსის მიერ ომის დროს დაწერილ ოპერის შინაარსი, რომელშიაც შეიძლება გატარებულია მორალური ტენდენცია მოსახლეობის შემოქმედების წინააღმდეგ.

მუსიკის მხრივ შტრაუსის არსებითად არაფერი სია-



აბსთუმანი—განულის მისაღები შენობა.

ხლე არ მიუცია; პირიქით, გადიმოღერა თავისი წინანდელი ნაწარმოებში ფორმით ორკესტრის აპარატით მეტის მეტ ძლიერ ფერადების სიმბოლუზება აუყვანილი. ამას ემატება შტრაუსის ძლიერი და მკვეთრი ტემპერამენტი.

ორ—მოქმედებიანი მ. ფონ—ზოლინგსის ოპერა „მონა ლიზა“, ბერ უდაო ღირსებას შეიცავს. მეტად წარმატები მონაზის იპოვობს მამენილთა განუწყვეტელ ყურადღებას. პროლოგში თანამედროვე კოსტიუმში გაპოწყობილი ტურისტები ახალგაზრდა ცოლით საქონაწინა მოგზაურობის დროს ათვალერებებს, კარტეზიანურ მონისტერის ფლორენციაში. მათი მხლებელი ორდენის ახალგაზრდა ბერი გადმოსცემს მათ ტრადიციულ ამბავს, საეანარო ლას დროში რომ დატრიალებულა მონასტრის დარბაზში, როდესაც სახლი ეკუთვნოდა შესერ ფრანკესკო ჯიოკონდოს, ლეონარდო—დაინის მიერ უკედავ ქანის მონა ლიზას ქმარს. სცენა იცვლება და პროლოგის პირნი ბერისგან მოთხრობილ დარბაზს მონაწილენი, ხდებიან. კარნავალის დროს, ფრანკესკოსთან ქეიდის შემდეგ მონა ლიზას მოტრეივალ ახალგაზრდა ჯიოვანი შეუმწევლად რჩება მის თიანხში. სურს რა დამალვა საფარლისა, რომელიც უკე შენიშნა ქმარმა, მონა ლიზა მალავს მას განსაკუთრებულ შავფში, რომელიც ფრანკესკოს გაკეთებული აქვს მარგალიტების შესანაბლ, რომ შიგ ჰაერი არ შევიდეს. როცა ქმარი დაწმუნდება, რომ ჯიოვანი შავფში, ძალად იხმარს ცოლს და ამავე დროს სტკება, შავფში თავის მეტოქის სიკვდილით. შემდეგ ერთად ერთ შვაფის გასაღებს გადაადგმებს ფანჯრიდან მდინარეში. მეორე მოქმედებაში მონა—ლიზას გერი შემოიტანს გასაღებს, რომელიც მან იპოვნა ნავში, სადაც იგი ჩაყარდნილიყო. მონა ლიზა გაადებს შვაფს, ნახავს ჯიოვანის ნეშტს და როცა მოდის ქმარი—შვაფს მას შვაფში და ახლა თითონ სტკება შურისძიებით... კლავს ხსენება პროლოგის დარბაზში. უცნობი ქალი (ტურისტის ცოლი) დაუყვებს ბერს მონა ლიზას სულის მოსახსენებელს წირ-

ვას და ესერის ბერს ყვავილების თიავუს. ბერი (ჯიოვანი) უტყვირს მიმავალ მგზავრებს და იძახის: „მონა ლიზა“...

ოპერის მუსიკა ზოლინგსმა დასწერა არისტთან ბრძოლის დროს, სადაც ის გერმანიის ჯარის მოხალისე მფრინავი იყო. მასში კოტაა თავისი რამ, ხზარად ისმის „ტრისტანის გამოძახილი, მაგრამ აის ტემპერამენტი და მოძრაობა.

მესამე გამოჩენილი ნაწარმოებია—„Bitter Blaubust“ („ლურჯი წვერი“) ავსტრიელ რეზნიცის. მწერალ ეილენბურგის მიერ დაწერილი ტექსტი გვიხატავს ლურჯ—წვეროსანს დატანჯულ იდეალისტად, რომელსაც მძიმე ტვირთად აწევს პირველ ცოლის ღალატი. მეტად ხზ-გასმულია ვაგნერის გამოყვადვის იდეა, რადგან ცოლის მკვლელობის შემდეგ, რომელმაც დაიარღვია აღთქმა ჯადო ქარითაბის გაოებისა და ცოლის დის დაპყრობის უბედურკდის შემდეგ (უკანასკნელისაგან ლურჯ—წვეროსანი მოედის აღთქმების ერთგულად დაცვას), იგი ილუპება კოშკის ხანძარში. ცეცხლს აწენს ბრმა მსახური, რომელიც იწმინდება ცეცხლით და იძახის: „მზისაკენ, მზისაკენ“.

ეს მუსიკაც ვაგნერთაა გამსჭვალული; აქ არის „ტუის შრაილიც“; აქაა „ნიურენბერგის სიმღერის ოსტატთა“ და „ლემერითა დაისის“ ბოლო სცენის გავლენაც. მაგრამ ამ ნასესებ ადგილებთან ერთად რეზნიცე რამოდენიმე თავის, ორიგინალურ მომენტსაც იძლევა. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია არა ჩვეულებრივი მეტყველება ორკესტრისა, მთელი ნაწარმოები მოცულია კომპარულს, არა მიმზიდველ იერით, მაგრამ დიდის ნიჭითაა გაკეთებული. როგორც „მონა ლიზაში“ მეტობს სადისტურეროტიული არსებითად არა მხატვრული ელემენტი, მაგრამ სწორედ ეს პოულობს გამოძახილს საზოგადოების გემოვნებასა და ნერვებში.

სრულიად სხვა ქვეყანაში გადაყვებით ჩვენ მანს პფინცემის მუსიკალურ ლეგენდას „პალესტრინა“-ს.

თითონ პფიცნერის მიერ მის განთქმულ მესის შექმნის ამბავს. არსებითად არაფერია მოქმედება არაა. პირველი მოქმედება შეიცავს პალესტრინას ვრცელ ბაას კარდინალთან, რომელიც დაუკვეთს მას მესას და თვით განთქმულ საეკლესიო კომპოზიტორის შემოქმედების პროცესს. მეორე მოქმედებაში სწარმოებს ტრიდენტის საეკლესიო ყრილობა და მესამეში კი თვით პაპა მთავარ პალესტრინასთან და ნიშნავს მას თავისი კაპელას გამგედ. პალესტრინა მარტო რჩება, ეძლევა ორგანოზე ოცნების, და სრულ დამწვინებას პოულობს შემოქმედებაში და თავის სულის სიღრმეში. ასეთია თავისებური და უჩვეულო ტექსტი ამ „მუსიკალურ ლეგენდის“, რომელშიც არაა

რას „Die gezeichneten“ არაფერია გასავალი არა აქვს და ვერც რეპერტუარის შერჩა.

ლიბრეტო შინაარსის და ფორმის მხრივ მეტად სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება ალორძინების ხანას ეკუთვნის და სწარმოებს გენუაში მომქმედი პირები ბერლინის უარგონით ლაპარაკობენ. მდიდარი გენუის პატრიცი, კუზინი და მახინჯი, მაგრამ სილამაზის მალმერტებული, აჩუქებს ქალაქს თავის დიდებულ ვილას კუნძულზე სილამაზის დღესასწაულის მოსაწყობად. ამ დროს მას შეუყვარდება თვით პსოდესტას ქალი, მხატვარი, რომელიც ხატავს მის პორტრეტს და უნდა დაიქორსოს მახინჯის მისდამი ენების გამოხატულება. კუნძულ-



„ბასთუსმანი“ — ვერხვების ზეივანი.

არც ერთი ქალის როლი (თუ არ ჩავთვლით პალესტრინას შეილს და მისი მოწოდების როლებს, რომელიც ქალის ხმისთვისაა დაწერილი).

შინაარსის მიხედვით მუსიკაც განსხვავებულია თავის მონოტონობით, პირ-ქუშობით, თითქმის სისასტიკით და დაწერილია გამოდერნისტულ ძველ-იტალიანურ სტილით, საბოლოო სცენა ღრმა შთაბეჭდილებას სთვებს თავის სიწმინდით სხვა ახალ ოპერების ამობოკრებულ შინაარსთან შედარებით. „პალესტრინა“ იშვიათად იღვმება და მის წარმოდგენებს ძალევენ საზეიმო ხასიათს.

დიდ სენარტის შექმნას ცდილობენ ბერლინის უმაღლეს მუსიკალურ სკოლის დირექტორის ფრანც ბრეკერის სახელის გარშემო, რომელსაც უპირისპირებენ ზეტაუსს. მაგრამ მის საკუთარ ტექსტზე დაწერილ ოპე-

ზე ზეიმის დროს პატრიცის დაპატიმრებენ მისი მეგობრები, რადგან დააბრალებენ ქალის მოტაცების და საზღვარ-გადასულ ორგანის მოწყობას. იმავე დროს ნახტარი-ქალი ნებდება ზებედურ მახინჯს ლამაზ მეგობარს, რომელსაც მოკლავს მახინჯი, რის შემდეგ უკანასკნელი ტყუიდან სცდება. ამ არეულ ტექსტზე შრიეკმა დასწერა მუსიკა, რომელიც შეიცავს თანამედროვე კომპოზიტორთა უმრავლესობის ყველა ღირსებას და ნაკლულვანებას, ე. ი. მდიდარ და ნათელ ფორმას და ლარიბ შინაარს.

ანჟლინიმ დასწერა სამი ერთ მოქმედებიანი ოპერა ერთ სილამოს აღსასრულებლად — „მოსასხამი“. „და ანჯელიკა“ და „ჯანი სკიკი“, რომელთაც ყველგან გაიმარჯვეს. თავის ინსტრუმენტოვით უკანასკნელი ოპერა წარმოადგენს ბრწყინვალე გოტესკის ფლორენტინელ ხუმარა და გაიძვრა სეიკის თავგადასავალისგან.



იპოპულარი პრესა ვ. ი. ლენინის გარდაცვალებამ.

როგორც მთელი მსოფლიო, იაპონიის პრესაც, რაღაცა უნდა, გამოეხმაურა ლენინის გარდაცვალებას. პირველი რასაც ჩვენ ვამჩნევთ, ეს არის გამონაკლისი მათ შორის სერიოზულ, ყველასთვის გასაგებ წერილებისა ლენინზე და მის მნიშვნელობაზე. როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისა, ე. ი. წერილებისა, რომელიც ასე ესაყრდენება იაპონელ მუშასა და გლეხს. მაგრამ თანამედროვე იაპონია, სამუშაო, ისეთ პირობებშია, რომ იქ შეუძლებელია ასეთ წერილებზე ფიქრიც კი. მიუხედავად ამისა საინტერესო და თავისებურია იაპონიის პრესის განწყობილება ლენინისადმი.

იაპონურ პრესას ერთგვარი თავისებურება აქვს: თავის სიიარსის გამო მან ყველას უნდა მოაწონოს თავი, რათა კომერციულად მოსაგები საქმე იქნეს. გაზეთის მიმართულებას მეთაურიდან და მცირე რიცხვ წერილებიდან თუ გაიგებთ, თორემ დანარჩენი ნაწილი ნახევრად

სრულს ამბობს: „...და მაინც ჩვენ უყოყმანოდ ვაღიარებთ ლენინს გენიოსად... იმავე გაზეთში: ...მთელ მსოფლიოში არაა ადგილი, სადაც არ იცოდნენ ლენინის სახელი“.

ს. ს. რ. თანამედროვე მდგომარეობის დიდ გაგებას იჩენს დამოუკიდებელ-ლიბერალურ გაზეთ „ასაკა ასახის“ მეთაური: „არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეზე არ დადიოდა იმდენი სხვა და სხვა გვარი ზნა, როგორც ლენინზე, კერძოდ მისი სიკდილის შესახებ. ეს იმის მაშობლებელია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ლენინის სიკვდილს ან სიკვდილს. აი რატომ მიიღეს საბჭოთა რუსეთის მტრებმა ლენინის სიკვდილის ამბავი, როგორც ათასზე ათასის ძლიერი მტერის დაღუპვის ამბავი. მაგრამ იქნება აქ შეცდომა იმალება? მათ იქნება ამ შემთხვევაში ისტორიულ პროცესში პიროვნების გადამატებული დაფასება მოსდით? რაც არ უნდა გენიალური ყოფილიყო ლენინი მარტო მას ზრამ არ შეუქნია საბჭოთა რუსეთის და, თუ არ შეიცვალა



ახალშენი—დასასვენებელი სახლები.

ბულვარული და წმინდა ბულვარულია. ამის მიხედვით შეიძლება დავყოთ ლენინის გარდაცვალებამ დაწერილი წერილები: სერიოზული წერილები, მეთაურები—უმცირესობისათვის; ლენინის ბიოგრაფია, კორესპონდენტთა უკან ფანტაზიით შეგებული და, ბოლოს, „დიდი საზოგადოებისათვის“ ყოველგვარი ახლა უბრალოდ და კორი, საინტერესო და დამახასიათებელი ის ვარაუდებია, რომ იაპონურ პრესის ყველა წერილებში, თუნდაც უკანასკნელ კატეგორიის ლენინის სახელს პატივისცემით და სიფრთხილით გაყრდნობა. ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ იაპონიაში ეხლა რეაქციისა და ფაშისტების თარეზია.

ლენინის განუზომელი მნიშვნელობა აღიარებულია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მომართულ წერილებშიც. „ასაკა მაინც კი სიმბუნ“ მეთაური წერილში ასეთი სათაურით: „მოკვდა ლენინი, უდიადესი ადამიანი“, თუმცა დესპოტურს უწოდებს ლენინის პოლიტიკის მგზავს დასა-

კომონიური, სიკვდილური და პოლიტიკური პირობები, მარტოდენ ლენინის სიკვდილი არ გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. ყველა ამაზე დამყარებული იმედები ეფუძნება.

იმავე გაზეთში უფრო პოპულარულ წერილში ლენინზე გამოთქმულია იგივე აზრი ს. ს. რ. სიმტიკის შესახებ: „რვა წლის რევოლუციის გამოცდილების შემდეგ ყველაფერი იმის მომასწავებელია, რომ რუსეთი შეუტყვევლი დარჩება მომავალში ულენინოთა“ და შემდეგ: „ლენინი მუშებისა და გლეხებისათვის სათაყვანებელი იყო. მხოლოდ მან გადაარჩინა რუსეთი შიმშილს 1919 წელში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებით“.

მეორე გაზეთი სწერს მის დაუღალავ მოღვაწეობის შესახებ: „როდესაც ლენინი სულ ცოტათი უკეთ იგრძნობდა თავს, მას ავიწყდებოდა თავისი ავადმყოფობა და მუცლე ანთებულ მოღვაწეობაში ემშვიდებოდა“.

ბოლოს უკანასკნელ კატეგორიის წერილებიდან გახეი „ოსაკა ასახი“-ში მოთავსებულია წერილი: „ლენინის სიყრმის სიყვარული“. ეს ალბად, იმათთვის ვინც არ შეთარვებს და არც სერიოზულ წერილებს არ კითხულობს. მაგრამ ამ ზღაპარში და მოგონილ აბდა-უბდაშიც აღსანიშნავია ავტორის აღტაცება ლენინით: ლენინი გამოყვანილია გმირად. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ძლევა მოსილი ლენინი 1918 წელში შეხვდება მოხუცს, თავის პირველ სატრფოს მამას, რომელიც იდეს-

დაც სასტიკად მოექცა მას. ლენინი, როგორც აღმოსავლეთის ჰეშმარიტი ბრძენი აპატიებს მოხუცს და მოეფერება მას.

დიდა ლენინის პიროვნებით მოხიბლვა აღმოსავლეთის ხალხთა შორის, თუ გამოცდილი ბულვარული იაპონიის პრესაც კი ისეთ მომენტში, როდესაც ფაშისტის და რეაქციის თარგი შეფუბს, თავის წერილებში ლენინის და მისი გარდაცვალების შესახებ მსხუ ვერ ლაპარაკობს სხვა ნაირად, თუ პატივის ცემით არა.

კინოს მსახიობნი.

IV. ასტა ნილსენ.

ასტა ნილსენ თანამედროვეობის უღრმესი სახეა ეს სახე ისეთი აღმანიების, რომლებმაც იკიან ცხოვრება და შეუძლიათ იცხოვრონ.

ასტა ნილსენის მნიშვნელობა შევიცარიის კინოსათვის იგივეა, რაც მერი პიქფორდ და ნორმა ტალმეჯ ამერიკისთვის და პოლი ნევრი და მია მაი გერმანიისთვის, ფილმის ისტორიაში ნილსენ ეგელზე უფრო ძველი მსახიობია. ის მოწაფა მთელი იმ განვითარების, რომელიც განიცადა ევროპა თავის დასაწყისიდან.



ასტა ნილსენ.

რეჟისორ ჯრანა გადის მიერ დადგმული „უძირო“ ასტა ნილსენის მთავარ მონაწილეობით უდიდესი მიღწევაა კინოს მსახიობისთვის. მასში ნილსენი გვევლინება მომჯიდიდებელ დრამატიულ ტალანტად, დიდ ტემპერა-

მენტის მსახიობად. „როდესაც მე შევეს პარტიორაში ასტა ნილსენი“, ამბობს კინოს უდიდესი მსახიობი კონ-დრატ ფეილდ-მე თითქმის ვიწყადები თეატრალურ წარმოდგენის უდიდეს ზეგავლენის ქვეშ.

ნილსენის როლების სხვადასხვაობას არ აქვს საზღვარი. მამაკაცების როლებშიც კი გვევლინება ის (მაგ. ჰამლეტის როლი).

უკანასკნელი მისი სურათებია: „ვანია“, „ჰამლეტი“, „გრაფინია იულია“, „კარუსელი“. და სურათი „I N R I“ ინიციალი.

V. მია მაი.

ვენის დრამის ყოფილი მსახიობი. კინოს უდიდეს რეჟისორ ჯოე მაის თითქმის ყველა დიდი დადგმების მონაწილე, მისი სახე, გამოხედვა მოგაგონებთ კეთილ შობილურ სოლის მარად ძახილს შორეულ ნაპირების სახილველად. რომლისგანაც ის ამტკრებს. მთელ თავის როლებში ის ემოციანოლურია, ვინც ელასტიური, უფრო ფლობს თავს სახეს, ვინც სჩუქს. თავდაპირველი, თითქმის ცოტათი ცივი მია მაი მკაფიოდ გადმოგვცემს იმ



მია მაი.

როლებს, სადაც უფრო მეტია ფსიქოლოგია და ნაკლები მოძრაობა.

„ლავინი მორლანდის დანაშაული“, „ინდოეთის სასაფლაო“, „ქალი მილიარდებით“ („კვეციერების მკრობელი“) და „სიყვარულის ტრადიცია“ აი, ის უდიდესი და თან საკვირველი მიღწევები, კინოს მსახიობთათვის, რომლებიც მან მოგვცა თავის თამაშით.

VI. პაულ ვეგნერი.

პაულ ვეგნერის მთელ არსებაში არის რაღაც მას-სიური, შთაგონებითი და დემონიური. მაქს რეინჰარტის თეატრის საუკეთესო მსახიობთაგანი და ამავე დროს გერ-მანიის კინემატოგრაფიის ერთი უდიდესი ფუქთაგანი, რომელიც თავდადებულად შეეყვანებოდა კინოს ხელო-ვნებას.

„ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდე მან დასდა პირველი მემარცხენი ფილმი—„გოლემ“ ექსპრესიონისტ გუსტავ შეირინკის ცნობილ რომანის მოტივზე. შემდეგ მას მოჰყვა „პარიზის სტუდენტი“, „ლუკრეცია ბორჯია“ „მონა ვანა“, „ფარაონის ცოლი“ და სხვ.

ვეგნერი—მსახიობის მკეთრი წარმოდგენა, საკვირ-



პაულ ვეგნერი.

ველი ტემპერამენტი პოულობს უწველო სიძლიერის გა-მომხატველ ენას,—შთაგონებითი გადმოცემის ენას.

შეგნებული, ტენიკურად და ბუნებრივით სრულ ქმნილი მსახიობი ქეშმარიტად ჰგულობს მოძრაობს მიმი-კას, ექსტს. ის ისე თამაშობს თავის ხელების თითოეული ნაწილით, რომ ის გაცილებით მეტს აძლევს მაყურებელს ვინემ მთელი დრამა. პაულ ვეგნერი თამაშობს ხელებით, ხელის ძვლებით, ხელის გულით, თითებით. მას უდაოთ შეუძლია გვაგანბინოს, განგვაცდევინოს თავის შეკ-რულ, მორღებულ შუბლით, ყბების მოძრაობით, ბაგე-მის დაქმნით და თვალების კანკალით ყოველივე ისე რო-გორც თვით განიცდის.



ვერნერ კრაუსი.

ერთად იმავე დროს სცენის და ეკრანის მსახიობი ვეგნერი ქეშმარიტად აკვირებს ადამიანს თავის კეთილ-შობილურ ფანტაზიით.

VII. ვერნერ კრაუსი.

ვერნერ კრაუსი,—იშვით გამოხედვის და სახის ინ-დივიდუალობა. შემოქმედების კონცენტრაცია, ინტენ-სიობა, გადმოცემის ძალა, გამოსახულების ენერგია, აი რა არის კრაუსის ნიჭის ნათელი თვისებები. ძლიერი ტა-ლანტი თითქოს ყოველთვის გაცაცებულია მოძრაობით. კრაუსის ექსტების ენამ არ იცის ნიუანსები, დეტალები, მისი პლასტიკობა გეომეტრიულ ფორმების დაქიმული და ბრწყინვალე აზნებია.

პირველი დიდი გამარჯვება კრაუსმა მოიპოვა „კა-

ლიგირში“, სადაც ის ისრულებდა ერთ უმთავრეს როლს. შემდეგ კიდევ უფრო დიდი გამარჯვება ნახა „ლედი გა-მილტონში“, „ნატან ბრაქენში“, „სანთლის ფიგურების მუზეუმში“ და სხვ. მათში მოთამაშე კრაუსი ქეშმარი-ტად კინემატოგრაფიულია.

ვერნერ კრაუსს ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა და ამიტომ მთლიანად არ გაშლია მისი დიდი შემოქმე-დებითი ფრთები ეკრანის წიაღში.

მას უდაოთ დიდი მომავალი აქვს კინოს ასპარეზზე...

შ. ჩაღანი.

ჩინეთის რევოლუციის გამგებთა პარი სუნ-იატ-სანი.

მისი გარდაცვალების გამო.

სუნ-იატ-სენის სიკვდილმა უდიდესი დანაკარგი უნდა ატოვებინოს მრავალმილიონიან ჩინეთის ხალხს. მის სახელთან დაკავშირებულია უკანასკნელი სამი ათე-ული წლის ჩინეთის ისტორიული ბედი, რომელთა გან-მავლობაში იგი-ჯერ ამაღლებდა ჩინეთის რევოლუციას, შემდეგ მისგან შექმნილ ჩინურ რევოლუციონერ პარტია —„ეროვნულ ლიგა“-სთან ერთად დაამხო მანჯურთა დინასტია და განამტკიცა ჩინეთის რესპუბლიკა და თორო-მეტი წლის განმავლობაში ებრძოდა ჩინეთში მონარქიის აღდგენის ცდას.

სუნ-იატ-სენი დაიბადა 1856 წელს სამხრეთ ჩინე-თის პროვინცია გუანდუნში. პირველ-დაწყებით სწავლა

მან ინგლისურ სკოლაში მიიღო. შემდეგ იგი გოკონგის ინგლისურ საექიმო კოლეჯში შევიდა. მაგრამ მალე იგი ექიმის კარიერას სკოლის რევოლუციონერის კარიერაზე, და მიზნად ისახავს მანჯურთა დინასტიის დამხობას. სუნ-იატ-სენი სათავეში ჩაუდგა ჩინურ ეროვნულ—რევოლუ-ციონერ მოძრაობას, რისთვისაც სხვათა შორის იორჯერ შემოიარა ამერიკა და ევროპა იქ ფაფატულ ჩინელებში რევოლუციონერ ორგანიზაციების მოსაწყობად.

1911 წლის ჩინეთის რევოლუციამ ჩინეთი რესპუბ-ლიკად გამოაცხადა და სუნ-იატ-სენი მის პირველ პრეზი-დენტად, მაგრამ მისი პრეზიდენტობა არ იყო ხანგრძლივი, რადგან ჩინეთში მებრძოლ რევოლუციონერ ძალთა გან-



წყობილება ისეთი იყო, რომ იგი იძულებული იყო, პრეზიდენტის სავარძელი დაეთმო იუან-ში-კაისთვის. ზოგს ჰგონია, რომ ამით სუნ-იატ-სენმა დაუშვა ისეთი შეცდომა, რომელსაც თან მოჰყვა ჩინურ მილიტარიზმის ზრდა. ნაწილობრივად ეს შეხედულება შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ ეს არ შეიძლება საესებით მიეწეროს სუნ-იატ-სენის შეცდომას: ეს იყო თვით ჩინეთის რევოლუციის უნდურება, რადგან მას არ მოეგონებოდა საქმარისი ძალა პარადპირი გზით წინსვლისათვის და ირჩევდა მიკიბულ მოკიბულ გზას, რომელსაც იგი დღემდის ვერ ასცდენია.



წალეფერი—ძველი ფოტოგრაფია.

მაგრამ მიუხედავად ამისა სუნ-იატ-სენმა მალე შეიგნო ჩადენილი შეცდომა და შეუპოვრად გაილაშქრა იმ ჩრდილოელ მილიტარისტთა წინააღმდეგ, რომელთაც იუან-ში-კაის სიკვდილის შემდეგ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. სამხრეთ-ჩინეთის ძალებზე დაყრდნობით, სუნ-იატ-სენმა უკანასკნელ წლებში კვლავ შემოიკრიბა თავის გარშემო ძველი თანამებრძოლნი, განაახლა პარტია გო-მინ-დან, შექმნა რევოლუციონური არმია და სამხრეთ-ჩინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დაიწყო ბრძოლა ჩრდილო ჩინეთის მილიტარისტთა წინააღმდეგ.

უკანასკნელ წელს პარტია გო-მინ-დანმა, სუნ-იატ-სენის მეთაურობით, დიდი ნაბიჯებით გასწია წინ მასიურ რევოლუციონურ პარტიათა გარდაქმნის საქმეში, და ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თითონ-სუნ-იატ-სენი გომინ-დანის მარტენა ფრთაზე იყო და მოუწოდებდა პარტიას მკიდრო კავშირისაკენ ჩინეთის მშრომელ ხალხთან.

სუნ-იატ-სენი არა მარტო ორგანიზატორი და ბელადი იყო ჩინეთის რევოლუციისა, იგი ამასთან ერთად მისი თეორეტიკოსიც იყო. პარტია გო-მინ-დანის პროგრამას საფუძვლად უდევს სუნ-იატ-სენის მოძღვრება მის

„სამ პრინციპში“ და „ხუთნაირ კონსტიტუციაში“ გამოხატული, რომელიც წარმოადგენს ევროპულ იდეების თავისებურ ანარეკლს ჩინურ ასპექტაში. ამის გარდა სუნ-იატ-სენის კალამს ეკუთვნის „შენიშვნები ჩინურ რევოლუციის შესახებ“ და „ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის გეგმა“—სადაც დიდ ჩინელის მრავალი ორიგინალური აზრია გაბნეული.

თავისი არსებით ჩინეთის რევოლუციაც ბურჟუაზიული რევოლუცია იყო, მაგრამ სუნ-იატ-სენი მეამბოხე—რევოლუციონერი იყო.

ჩინეთის რევოლუციის პროცესში იგი გაცილებით



ბორჯომი—ნიკანის სასახლე.

უფრო შორს წავიდა ვიდრე ამის საშუალებას იძლეოდა ჩინურ მოწინავე ბურჟუაზიულ ინტელიგენციის შეგნება, რომელსაც ეყრდნობოდა სუნ-იატ-სენი თავის მოქმედებაში. აქედან წარმოიშვა სუნ-იატ-სენის ტრაგედია, როგორც ჩინეთის რევოლუციის ბელადის, რადგან ჩინეთის ბურჟუაზიამ გამოაცხადა იგი იდეალისტად და ფანტაზიის ამყოლად...

სუნ-იატ-სენის სახით ჩინეთმა დაჰკარგა რევოლუციის მხუვრავი მოძღვარი და მებრძოლი დასავლეთ ევროპის სოციალურ იდეების ჩინეთში გადმომრეგისათვის. ძვირად თუ ვინმე მოინახოს ჩინეთში სუნ-იატ-სენის მსგავსად ხალხისაგან შეყვარებული, და ეს ადვილი გასაგებია რადგან ამ საოცარმა ჩინელმა ათეულ წლების განმავლობაში განსაკუთრებული რევოლუციონური ენერგია განავითარა ჩინეთის უკეთეს მომავლისათვის ბრძოლაში. მან ყველაზე დიდი ღვაწლი დასდო განთქმულ „დიდ ჩინურ კედლის“ დაქვეყნის საქმეში, იმ კედლისა, რომელმაც ამდენის ხნით შეაჩერა ჩინეთის ზიარების საქმე თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკასთან და ამით დაუშვნა ჩინეთი მსოფლიო იმპერიალიზმს.

სუნ-იატ-სენი შევა მსოფლიო ისტორიაში როგორც დიდი დაძაბანი აღმოსავლეთის ხალხთა საუკუნო ძილისაგან გამოღვიძების დროისა.



პატარა სტატისტიკა

ერთი თვის წინად გერმანიის ბურჟუაზიამ მისი პოლიტიკის აგენტების სახით თავს დაესხა პერლონიზ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას და დაარბია ის. ამას შედეგად მოჰყვა ყოველგვარი და პირველ რიგში ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტა ჩვენს და გერმანიის შორის. როგორი პერსპექტივების წინაშე სდგას გერმანიის მრეწველობა კერძო და მთელი გერმანიის სამეურნეო ცხოვრება ამ უთანხმოების გამო? აი კითხვა, რომელიც აინტერესებთ დღეს არა მარტო შემწინდელ ბიუჯეტის თვით გერმანიაში, არამედ ბევრ სხვა მის მტრებსაც და მთელს ევროპაში, როგორია დღეს ეკონომიკური მდგომარეობა გერმანიის ხალხის?

მოსახლეობის უდიდეს ნაწილის საზრუნავ საკანს შეადგენს არა მარტო კითხვა იმის შესახებ თუ რა უნდა სჭამონ მახლობელ დღეებში, არამედ კითხვა საზოგადოდ თუ რა სჭამონ, რით გამოიყვებონ, სად იცხოვრონ და რა ჩაიყვან ზეად. აი კითხვები რომელიც განუწყვეტლად თავს დასტრიალებს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. თვით ბურჟუაზიის იდეოლოგები არ ფარავნ უწყეო მდგომარეობას და აშკარად აცხადებენ რომ: „...თუ შედეგობაში მივიღებთ ამ სამი ფაქტორის მოქმედებას დაეცემა პირველი მოთხოვნილების საცეხი საგნების იმპორტის ჩვენი ინდუსტრიის ექსპორტის შესუსტება დასაყუთარი

30%/ით აწევით—ეს არის ორი და მხოლოდ ორი საშუალება აფარებელ ხალხის სიმშლიდან გადასარჩენად“ 1).

ენახოთ ეხლა უფრო ახლო ვინ არის ეს „აუარებელი ხალხი“ და რა ყურადშა ის, ვისზედაც ასე ორიგინალურად ჩივის ბ-ნი ლოვე.

„ჩიკაგო ტრიბუნის“—პერლონიელი კორესპონდენტი სამაოდ სანდო პიროვნებად უნდა ჩაითვალოს ამ საკითხის მიუდგომლად გადმოცემაში მაინც. აი რას სწერდა ეს გაზეთი ამ დღეებში:

„გერმანიის მთელი მოსახლეობა (დაახლოებით 63 მილიონი) რომ დაეანაწილოთ იმისდამხედვეთი თუ ვინ? რითი და როგორ იკვებება, მივიღებთ შემდეგ კლასებს:

1. სასოფლო-მეურნეობით მკხოვრებნი (23 მილიონი სული, ეგრედ წოდებული „ხელოსან-ხორბალი“ თვით-თავიანთ თავის დამამაყუფილებელნი“).

2. შეძლებული კლასი (მსხვილი მწარმოებელი, ვაჭარ-მრეწველი, მაღალი თანამდებობის მოხელენი; და შეძლებული უსოფოლები, რომელნიც მუდმივად ან დროებით სტოხოვრობენ გერმანიაში—7.000.000-მდე).

3. მაღალი კვალიფიკაციის მუშები და სამუშაოს ხელმძღვანელები, აგრეთვე წვრილი ვაჭრები: (13 მილიონი).


4. ჩვეულებრივი მუშები, კაცები და ქალები, უმუშევარი, თავისუფალ საქმის ხალხი, ხელოვანი, რომელნიც ვახნენ უმუშო სტეცერალი ომის შემდეგ გამწვავებულ საარსებო პირობების ეს ხალხი მოცემულია საშუალებას არამც თუ ის ზეღფასი იმუშაოს, რასაც იღებდა ომამდ, მას არ შეუძლია მიიღოს საარსებო მიზნებშიც კი; ამათი რიცხვი აღემატება 20 მილიონს...“

ცნობის მოყვარე ამერკელებმა დაწერილობით გამოთვალეს აგრეთვე თუ რამდენი კალორია საკვები ნივთიერება („კვების რეიტინგი“) იხარჯება თითო კაცზე ამ 4 კლასიდან და მიიღეს შემდეგი დანახვა:

საერთო რაოდენობა მიმდინარე წლის განმავლობაში დახარჯულ კალორიებისა მთელ გერმანიაში უფროს 52,250 მილიარდს, რომლიდანაც 20 მილიონიან დამშუღლ მეთივ კლასს შეუძენია მხოლოდ 4,070 მილიარდი კალ. (1/12-ზე ნაკლები) დანარჩენი რიცხვი ასე არის განაწილებული:

პირველ კლასს, რომელიც მთელი მოსახლეობის 36,5%/ს შეადგენს მოუხმარია 55,1% მთავრე კლასს—მოსახლეობის 11,1%/ს მოუხმარია—16,8% მესამე კლასს—მოსახლეობის 20,6%/ს მოუხმარია—20,7% და 4 კლასს—მოსახლეობის 31,8%/ს როგორც აღნიშნული იყო ზევით—მოუხმარია მხოლოდ 7,4% ამერკელების ცნობას ჩვენ შეგვიძლიან კიდევ შემდეგი საინტერესო მასალა

1) „Deutschen Oekonomisten“ 1924 წლის აპრილის ნომერი, ლოვეს წერილი: „Deutsches Wirtschaftshoroskop.“



სოციალისტების მოხმარების მარაგი.

პროლეტკის (შემცირება) აშკარად დაეინახათ რომ გერმანიის ხალხს არა აქვს არავითარი საფუძველი იმედი ექონიოს რომ ბოლოს ეს კლასი მძალა ყოფნას და რომ პირიქით მას არ მოუღოს კიდევ საინტერესო, მშვიდი და მძიმე დღეები. მდგომარეობის გამოსწორება ძალიან სერიოზული საკითხია. მეზარცხენე რადიკალების დემagogია არა კომუნისტური წყობილება და კომ. ეკონომიკური ფორმები იხსნიან ხალხს ამ ბედის წყრიდან რასაკვირველია უსაფუძვლო სიტყვებია. კატასტროფიულ შედეგების თავიდან აცილება არ შეიძლება არც დემონსტრაციებით, არც ტერორით, არამედ იმ მიზნების მოსპობით რაც საფუძველად უდევს მას—**იმ მოსახლეობის შემცირებით 30%/ით (!)** (ერსივი ჩვენი) („vingts millions de trop“ „სულ ბევრი—20 მილიონი.“) ან ჩვენი შინა მრეწველობის, საკვების საგნების პროლეტკის—



დამატებით: 1907 წელს სახელმწიფო სტატისტიკურ სამმართველოს აღრიცხვით სასოფლო მეურნეობით მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა მთელი მოსახლეობის 28,7%, ებლა კი ის უკვე გაზარდილია 30%¹⁾; აშკარაა ებლა ჩვენი პირველი სურათის აზრი; ახსნა განმარტებანი საჭირო არ არიან.


მეორე სურათი, რომელიც იძლევა წარმოდგენას უმუშევრობის მიმდინარეობის შესახებ გერმანიაში დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში დღემდე, ყველაზე უკეთ ასურათებს ამ ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკურ მდგომარეობას და მის პერსპექტივებს; უმუშევრობის ზრდა გარდა მისი წაუთრივ სოციალურ უბედურების ხასიათისა, ქვეყნის წარმოების მიღწეების და კაცთსტრუქტურული მდგომარეობის მაჩვენებელია აგრეთვე; ასეთ პირობებში, როდესაც ერთი მხრივ გერმანიის ინდუსტრია, რომელსაც უხდება არსებობა საშინელ პირობებში — მოკლებული თავის ნაწარმოების გასასაღებელ მანქანას ერთი მხრივ და მეორეს მხრივ მისი მოსახლეობა, რომელსაც არა აქვს პირველი მოთხოვნილების საცეხი საგანი პური და სხვა სიმშლით იხოვება; ორივე ამ საბედისწერო მდგომარეობიდან გერმანიის ხსნა შეეძლო ჩსუნის, რომელიც თავის პურში მას ინდუსტრიის ნაწარმოები გამოართმევდა; დღემდე ეს ასე იყო; ებლა კი, როცა გერმანიის ბურჟუაზია თითოეულ ჰელდეს მისი შეცდომის მთელი სიგრძე-სიგანის საბჭოთა კავშირის მიმართ, ის გზა დაბნეული დაიქმნა საშუალებას მდგომარეობის გამოსასწორებლად; და განა ამ გზადაბნეულობის საუკეთესო მაჩვენებელი არ არის ლოვეს ის სიტყვები, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, იმ ლოვეს, რომელსაც გერმანიის

ბურჟუაზია ყოველთვის დიდის იმედით და რწმენით მიმართავს ხოლმე რჩევებისათვის კრიტიკულ მომენტებში. დგას გერმანიის ბურჟუაზია დღეს ამ ციფრების, სტატისტიკის წინაშე და უკერს რომ ასე ზედმწევენიოთ გამართლებად პრეტის სიტყვები:

„Du mußt herrsehen und gewinnen
— Oder dienen und verlieren,
Leiden oder triumphieren —
— Hammer oder Ambos sein!“¹⁾

საბჭოთა კავშირის მიმართ თავებულობა — გერმანიის კაპიტალისტები დღეს კი ინანიებენ საქმოდ; საბჭოთა კავშირის კი დღეს მაინც ძალიან ცოტათ, ესპირობება კაპიტალისტური გერმანია.

კან.



სამმართველოს ოფიციალური დიოგრაფია — საშუალო რიცხვი.

ნიკო ფიროსმანია.

(მხალა ზიოგრაფიისათვის¹⁾).

ფიროსმანი ქიზიყდარეა, სოფ. მირზაბადი, გლეხიკის შვილი. მისი გარეგნება ატარებს ქართული გლეხის ნაციონალური ტიპის ყველა ნიშანს: ის ახოვანია, ბრეტ, შავგერმანი, დამშენებული დიდბონი თვალებით და დიდი ულვაშებით, თამაშ წელთა მოკარბების წყალობით ქაიარა, ებარება, ოდნავ გახმადარი, სახის კანს გადაქარავს მოყვითალო ფერი, რაიც დაწყველილ სოციალურ პირობებით და ბოლო ხანებში ფიროსმანის განწყობილ თანამგზავრის სიღარიბითა აისინება.

მ. ზაზიაშვილი მას შეხვედრია 42 წლის წინად, როდესაც ფიროსმანი დაახლოვებით 25 წლის იქნებოდა. მაშინ ფიროსმანი სოლოლაკში მსახურობდა ვინმე მდიდართან ხელზე მოსამსახურედ.

დამოუკიდებელ საქმიანობას დახატებული ფიროსმანი და ახალი ნაქონი სხიან სახელოსნოს ეცოლაინოვის ქტაზე. საქმე ვერ ხეირობს. ამის შემდეგ პოულობს ახალ ამხანავს, გეზარინებს და იწყებენ ახალ საქმიანობას. მაგრამ ფიროსმანის საქმე მაინც უიშელოა: მის ნა-

¹⁾ ეტრნალ „დროშა“ მეტად დინატურესტულია ხალხურ მატერის ნიკო ფიროსმანიშვილის და მისი უმეოვნების ბედით: ჩვენ შივიდთ ზომები, რომ დავაგროვით რაც შეიძლება მეტა მხალა სიღარიბეში დაღუბნილ შესანიშნავ მატერის ცხოვრების შესახებ. ჯერ ჯერობით ვათავსებთ საუბარს მატერა გ. ზაზიაშვილთან, რომელიც ჩაწერილია ჩვენს რედაქციაში. როგორც ვკითხვე-

1) იმპერიალისტურ ომის დასაწყისში (1914 წ.) ეს ლეკი ეროვნულ ჰიზმთ იყო გამოცხადებული; ყველაზე და ევლადიფიზი იყო ის აღუტყლიდი; ამ სიტყვების გაგომებისას ყველანი ფიქრე უნდა ამდგარიყვენ ქედ მოხდით: ნიშნავს: „შენ უნდა იფიქრო, გახეიადდე, ან მონად იქცე და დაიღუპო; ან უნდა იტანჯო ან დასიტყბ ტრიუმიფი, ან გახდეს ნაქტო ან გრდმდით გარდაიცე.“

ბატებს ბაზარი არ აქვს. ხოლო მისი ამხანაგის შრომაზე მოთხოვნილება არ არსებობს. ამის შემდეგ ის სამუდამოთ გამოეთხოვა თავის სახელოსნოს, აღბათ გულისტყვილით და რკ. გზის საქონლის მატარებლების კონდუქტორად შევიდა. კონდუქტორად ის დიდხანს მსახურობს. მაგრამ შემდეგ რაღაც მიზეზის გამო სტოვებს სამსახურს და სახელოსნოს გახსნის მაგიერ, მელოქ-აზარიანის შენობის წინ სუფამს მაგიდას და რძესა და მაწონს ყიდის. საქუთარი სახელოსნოზე უფრო ზელსაყრელი ეს „წერილი ვაჭრობა“ აღმოჩნდა, ისე რომ ცოტა ხნის შემდეგ მოსაქმეობა იზრდება და ფიროსმანაც ადგილი შეიცვალა და საქუთარი ღარაბა გახსნა ბაზრის ქუჩაზე, სადაც იმავე რძითა და მაწონით ვაჭრობდა. ვაჭრობაში ამხანაგიც შეიცვანა. უცხოელში ფიროსმანი გულკეთილი იყო და უყვარდა ქონების უხედავ გაცემა მის მიზეზი იყო, თუ ამხანაგის ოინები, ფიროსმანი გაკატრდა მისთვის იოთა ლოდნელად.



ბორჯომი—დასასვენებელი სახლი.

ამ ყოველდღიური ცხოვრების გაკირების დროს ფ—ი თავისუფალ საათებს მხატვრობასა სწირავს. თავის ნახატებით ამშვენებს საკუთარ დუქანს.

გაკატრების შემდეგ სრულიად აერია ცხოვრება. დარდსა და ბოღმას, გულზე მოწოლის, ალკოჰოლში აღორძინება. მაგრამ სასმელებში განსაკუთრებით არაყს ეტანება, ალბად იმიტონ, რომ არაყის ნისლი უფრო სწრაფად მოდის ტვინთან, უფრო მალე აქარწყლებს ნაღველს. უბინაო და უსახლკარო, სამიკიტნოში დაეხეტებოდა და თუ ვინმე გულკეთილი კაცი არ მისცემდა ბინას, ის ცის ქვეშ ათედდა ლამეებს, თავის ნახატებს უშუალოდ უცულის მელტქნებს ღვინოზე, ნატურალური წესით. მი-

ღებას ბიკან სახელწოდებულ გამოცემულმა შეუდგა ნიკო. ფიროსმანი შეიძლება მონოგრაფიის გამოცემა. კლიშეები მის სურათებისა და მხადებულისა ატოვოვრადის სახელწოდებულ მონოგრაფიაში. სახალხო გამოცემულმა უკვე გამოიყვანა ეს ლიშეები და შემოადგამაზე წიგნი მხად იქნება. „დროშაში“ მოთავსებული მასალები ფიროსმანის შესახებ, გადაცემული იქნება მონოგრაფიის შემდგენელთა განკარგულებაში.

რედ.

სი ცხოვრების ყველაზე უბედურ წუთებში საზოგადოებაც დაინტერესდა ამ უცნობი მხატვრის ვინაობით. ეძებენ ავტორს იმ ნახატებისას, რომლებსაც ჯერ მხოლოდ მელტქნები ყიდულობენ და თავიანთ სავაჭროებს ამშვენებენ. ჯერ კიდევ მხატ. ზდანევის ენაბა ფიროსმანი და მისგან რამდენიმე სურათი გყავდა. საზოგადოება აქცევს ყურადღებას უბრალო „კლიონკა“-ზე მინ გახსნილ საღებავებით ნახატ სურათებს, რომლებით ჯერჯერობით მხოლოდ სამიკიტნოების მთვრალ სტუპრებს შეუძლიათ დასტკენ.

მხატვარი მოსე თოიძე შეუდგება ფიროსმანის კვალის ძებნას. ის მკვდარი გონათ, მას იპოვიან შემთხვევით დიდუბეში, ერთს უპატრონო, კუბოსავით გრძელ ოთახში, დაბნელებულს, ეს ამ დროს ბატავს შოთას პორტრეტს. მას ოცეებს საზოგადოებისაგან მოგზავნილი უცხო სტუპრები. მოსე თოიძე სთხოვს, რომ დახატოს, რაც ესურება. ის ბატავს „ქორწილს“.

ფიროსმანი მიჰყავს „სახალხო, ფურცლის“ რედაქ-



ბორჯომი—გაზის ქარხანა.

ციაში და კლართან სურათს აღებინებენ. ვილაც უცნობი აბლევს მას ას მანეთს ფერების საყიდლათ. თითქმის არის ნიშნები, რომ ამ კაცის ბედი მტრიალდა კეთილისაყენ. ის გამოიწივს გელისაგან გაქმენდილ ცხოვრების გზაზე, ამის თავდებია საზოგადოების დაინტერესება ამ უბედურ მხატვრის ბედით. მაგრამ უსაფუძვლო ასეთი იმედი. ის მალე დაიწვეწვაში გადადის. ფიროსმანიც გაჯავრდა განათლებულ საზოგადოებაზე, რომ „სახ. ფურცლის“ დამატებაში მის პორტრეტის გვერდით მასზე კარკატურა მოათავსეს, მისთვის მიღებული ეს გამახვილებული დიკინეა. ის გაბრაზებული მიმართავს თავის მეგობარს, რომელმაც საზოგადოებას ფიროსმანი გააცნო, ასეთი ბიფეთის გიდაკიდებისთვის.

ამის შემდეგ ყოველგვარი კავშირი ფიროსმანსა და საზოგადოებას შორის წყდება. ერთი წუთით ამოყვანილი ცხოვრების უფსკრულისაგან, ის კვლავ უბრუნდება ძველს ბინას. ღვინოს დაუმეგობრდა, მას იპოვდით რაყეზე, ნაძალადეში, დიდუბეში და უფრო ხშირად სამიკიტნოებში.

ნ. წიქ.

— **გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა** —

შპეშულშეაში ღა აბარაბზე
მიმაპალ

მოსამსახურეთს, მუშათს ღა სხვა
მოქალაქეთს საშუალოდღოთ!

საოჯახო ბარჯის ღა აგეჯეულობის ქერდობიდან
ღა ნეცსლიდან დასღვევის მიზნით თბილისის ღა
ბაქოს ქალ. სადგურებში არსდება შესანახად მიღება
ასეთ ნივთებისა.

ნივთები მიიღება შეკრული ღა უამისოდაც სრული
გარანტიით მისი დაუზიანებლად შენახვისა.

ნივთები მიიღება საფასურის გამოცხადებით.

შესანახი ქირა ღ დასღვევა ხელ მისაწვდენ ფასში

მისაბართი: თბილისში; განოვის ქ. № 3.

გაქოში ჯაფარიძის ქ.

გ ა ო ნ ს ნ ა

რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო

განვიხილო

ს რ უ ლ ი ა ღ
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კ ა ნ ო ლ ო რ ა

ტფილისში, ამიერ-კავკასიის
საგარეო ვაჭრობის
ყოფილ უნობაში, კეცხო-
ველის ქ. № 5.

(უოფილი ღოზის-მეფიქოვის)

ბანკი აწარმოებს ყოველგვარ
ოპერაციებს

წმინდის თანახმად.

ფეხფეხიკუბა